# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №420

ქ. თბილისი "31" 05 2006 წ.

შპს ,,ალგეთი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 და მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს ,,ალგეთი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – მინერალური ნედლეულის გადამუშავებაზე;
2. ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს 5 (ხუთი) წელი;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №29; 02.02.06წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კვაშილავას მოხსენებითი ბარათი

მინისტრი გ. პაპუაშვილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
კანცელარია

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

## გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00024

კოდი M D 1 „ 08 “ „ ივნისი “ 2006 წ.

| | |
|---|---|
| 1. ნებართვის მიმღები სუბიექტი | შპს „ალოგეთი“ |
| 2. საქმიანობის მიზანი | მარცვლეული და ხორბლეული წმინდა დაფქვის საქმრო |
| 3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა | ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №74ა |
| 4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია | შპს „ალოგეთი“ |
| 5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია | პროექტი |
| 6. ნებართვის გაცემის საფუძველი | სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე N29; 02.02.06 |
| 7. ნებართვის პირობები | ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების სრულ-შესრულების პირობით |

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

ნიკოლი ჯვაშილავა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
204861943

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360